25 მაისს, გაანთლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთობლივი სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდა თეიმურაზ ჯანგულაშვილის შემოქმედებითი სადამო და ნინო ჯანგულაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიების ბიუჯეტი - 127,50 (ას ოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარი. (ღონისძიების სტუმრებისთვის ტკბილეული)

მონაწილეთა რაოდენობა - 30 ახალგაზრდა.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბავშვებისთვის შევიძინეთ 50 შეკვრა ფერადი ცარცი და 300 ცალი ჰაერის ბურთი.

ღონისძიების ბიუჯეტი - 537 (ხუთას ოცდაჩვიდმეტი) ლარი.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შ.პ.ს „ასი-სგან“ შევიძინეთ 1050 ცალი ნაყინი, რომელიც დარიგდა ბავშვებისთვის მოხალისე ახალგაზრდების მიერ.

ღონისძიების ბიუჯეტი - 385 (სამას ოთხმოცდახუთი) ლარი. (1050 ცალი სხვადასხვა სახეობის ნაყინის ღირებულება)

2016 წლიდან, ყოველწლიურად ტარდება ლიტერატურული კონკურსი „ნატვრის ხე“, რომელიც დაარსდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გოგლაობის დღესასწაულთან დაკავშირებით. 2018 წლის ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა მონაწილემ. გამარჯვებულ ავტორებს გადაეცა ფულადი ჯილდო და წიგნი - გოდერძი ჩოხელის მოთხრობების კრებული.

I ადგილი - 300 ლარი

II ადგილი - 200 ლარი

III ადგილი - 100 ლარი

ღონისძიების ბიუჯეტი - 600 (ექვსასი) ლარი.

მიმდინარე წლის 22 ივნისს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკი სოფელ უდაბნოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ბანაკში დრო დაეთმო სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს, ბანაკის მიზანია ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად გამოყენებას.

ღონისძიების ბიუჯეტი - 618.15 (ექვსას თვრამეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი.

ტრანსპორტირების ხარჯი - 170 (ას სამოცდაათი) ლარი.

მონაწილეთა რაოდენობა - 25 ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის 2 ივლისს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდა ექსკურსია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით, ახალგაზრდებმა მოინახულეს მანგლისის სიონი და დაშბაშის კანიონი.

ღონისძიების ბიუჯეტი - 538.60 (ხუთას ოცდათვრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი.

ტრანსპორტირების ხარჯი - 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი.

მონაწილეთა რაოდენობა - 35 ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის 13 ივლისს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით,

ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკი სოფელ გომბორში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ბანაკში დრო დაეთმო სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს, ბანაკის მიზანია ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად გამოყენებას.

ღონისძიების ბიუჯეტი - 618.15 (ექვსას თვრამეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი.

ტრანსპორტირების ხარჯი - 240 (ორას ორმოცი) ლარი.

მონაწილეთა რაოდენობა - 25 ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, სოციალურად დაუცველი ბავშვები და ახალგაზრდები (20 ახალგაზრდა) იმყოფებოდა ქ. თბილისში, კინოთეატრში, სამგანზომილებიანი ანიმაციური ფილმის სანახავად. ღონისძიების მიზანი - მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ღონისძიების ბიუჯეტი - 360 (სამას სამოცი) ლარი.

ტრანსპორტირების ხარჯი - 110 (ას ათი) ლარი.

მონაწილეთა რაოდენობა - 20 ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, შშმ ბავშვები და ახალგაზრდები იმყოფებოდნენ კახეთში (შუამთა, წინანდალი, იყალთო). ექსკურსიის მიზანი - მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა, შშმ პირთა ინტეგრაცია.

ღონისძიების ბიუჯეტი - 539 (ხუთას ოცდაცხრამეტი) ლარი.

ტრანსპორტირების ხარჯი - 260 (ორას სამოცი) ლარი.

მონაწილეთა რაოდენობა - 23 ახალგაზრდა.

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2017-18 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ მედალოსნებს გადაეცათ წიგნები.

ფულადი ჯილდო - 3100 (სამი ათას ასი ლარი) ლარი.

31 წიგნის ღირებულება - 1856,90 (არას რვაას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი.

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, აღინიშნა მასწავლებლის საეთაშორისო დღე, 10 დვაწლმოსილ მასწავლებელს გადაეცა ტკბილეულის კალათი, ხოლო 3 წამყვანი კატეგორიის მასწავლებელს კი წიგნები - „ქართული ხატები“ და ყვავილების თაიგული.

ტკბილეულის კალათი - 866 (რვაას სამოცდაექვსი) ლარი.

ყვავილების თაიგული - 219 (ორას ცხრამეტი) ლარი.

სასაჩუქრე წიგნები - 404,75 (ოთხას ოთხი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით 20 ახალგაზრდა მოინახულებს მუზეუმს ქ. თბილისში.

ღონისძიების ბიუჯეტი - 258 (ორას ორმოცდათვრამეტი) ლარი. (ბილეთები და კვების პროდუქტი)

მიმდინარე წლის 3 დეკემბერს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხვედრა, ღონისძიების მიზანია მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა და ინტეგრაცია.

ღონისძიების ბიუჯეტი - 907,60 (ცხრაას შვიდი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში განათლების კუთხით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 28 დაწესებულება და ლამბალოს 2 ალტერნატიული ჯგუფი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელთა საერთო რაოდენობაა-1325, აქედან ალტერნატიულ ჯგუფებში 60 აღსაზრდელია. მუნიციპალიტეტში 64 აღმზრდელია, აღმზრდელის თანამემწე (ძიძა) - 63. მათ საქმიანობას ხელმძღვანელობს ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორი: ელზა გილაშვილი), სადაც სულ 9 თანამშრომელია.

მიმდინარე წელს ნაწილობრივი რემონტი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის რამდენიმე დაწესებულებას, კერძოდ:

1. შიბლიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თამარ ხუროშვილი), ბავშვთა რაოდენობა-18. 2018 წელს განხორციელდა სამზარეულო-საკუჭნაოს რეაბილიტაცია და შენობაში სველი წერტილების მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 30 000 ლარი.

2. მზისგულის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მანანა ფილაური), ბავშვთა რაოდენობა-20. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაოს კეთილმოწყობა, ასევე სველ წერტილამდე წყლის ახალი მაგისტრალის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 8 500 ლარი.

3. ყანდაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: რუსუდან მაზანაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-38. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაოს კეთილმოწყობა, ასევე სველი წერტილების რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 19 000 ლარი.

4. ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ირმა ჩალათაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-50. განხორციელდა კარის ბლოკის მოწყობა და სველი წერტილების რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 3 500 ლარი.

5. ვერხვიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ვერიკო საგინაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-16. ჩატარდა დაზიანებული ოთახების და საკუჭნაოს რეაბილიტაცია. ჩატარებულმა სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 35 000 ლარი.

6. კაკაბეთის N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ლეილა ამბარდნიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-25. განხორციელდა შენობაზე ახალი სახურავის მოწყობა, სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 90 000 ლარი.

7. კაკაბეთის N 2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მაყვალა მეურმიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-38. განხორციელდა შენობის სახურავის შეცვლა, ასევე ჭერისა და იატაკის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 65 000 ლარი.

8. დ/ ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თინა შიოშვილი), ბავშვთა რაოდენობა -22. განხორციელდა ლამინატის იატაკის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 500 ლარი.

9. მანავის N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ნინო დალაქიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-58. განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია და დაზიანებული კარის ბლოკების შეცვლა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 11 500 ლარი.

10. მანავის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მანია მირზაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-20. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაო ოთახების მოწყობა-რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 10 300 ლარი.

11. თოხლიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მზია ტერტერაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-25. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაოს შეკეთება, გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და ეზოს შემოღობვა ლითონის ბადით. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 12 600 ლარი.

12. გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თამარ ნეკრესელაშვილი), ბავშვთა რაოდენობა -28. განხორციელდა სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწყობა -რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 6 000 ლარი.

13. ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მანია ქუმეთიანი), ბავშვთა რაოდენობა -40. განხორციელდა შენობაში სანათებისა და ელ. გაყვანილობის შეცვლა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 7 000 ლარი.

14. პატარძელის N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მარიკა შათირიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-40. განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია, სველ წერტილებამდე წყლის მილების მიყვანა, გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და შენობის დაზიანებული სახურავის შეცვლა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 45 000 ლარი.

15. პატარძელის N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ეკა ახვერდაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-40. განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია, კარისა და ფანჯრის ბლოკების შეცვლა, ასევე საჭიროა

განხორციელდეს დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთება. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 15 000 ლარი.

16. წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: რიტა ბაქანიძე), ბავშვთა რაოდენობა-15. განხორციელდა შენობაში სასმელი წყლის შეყვანა და სველი წერტილების შეკეთება-რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 15 000 ლარი.

17. ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მანანა ასრათაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-70. განხორციელდა შენობის დარჩენილ ოთახებში სამღებრო სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 16 300 ლარი.

18. ქ. საგარეჯოს N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თამარ ლაფერიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-192. განხორციელდა დაზიანებული კარის ბლოკების შეცვლა-რეაბილიტაცია და დაზიანებული ლამინატის იატაკის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7 000 ლარს.

19. ქ. საგარეჯოს N2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მზია ბეჟიტაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-120. განხორციელდა დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთება. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 2 000 ლარი.

20. ქ. საგარეჯოს N3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ნანა სულიკაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-70. განხორციელდა შენობაში საპირფარეშოსა და სამრეცხაო ოთახების მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7000 ლარს.

21. ქ. საგარეჯოს N6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ეკა დარისპანაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-40. განხორციელდა კარის ბლოკების მონტაჟი, სველი წერტილების მოწყობა, სველ წერტილებამდე წყლის მილის მიყვანა და ქსელთან დაერთება. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 7 000 ლარი.

ასევე:

. 2018 წელს განახლდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონაცემთა ელექტრონული ბაზა;

. მიმდინარეობდა სხვადასხვა ინსტანციებიდან განათლების საკითხებზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და ხდებოდა მათზე სათანადო რეაგირება;

• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ვთანამშრომლობდით და კონსულტაციებს ვუწევდით აღნიშნული დაწესებულებების ადმინისტრაციას და თანამშრომლებს, მათთვის საჭირო საკითხებზე;

• ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლებთან ერთად ადგილზე შევისწავლიდით დაწესებულებების ძირითად პრობლემებს, მათთვის შემდგომი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტებისათვის);

• ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების და ჩვენი სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად ამ დაწესებულებების საკვები პროდუქტებით მომარაგების მონიტორინგს რეგულარულად ვახორციელებდით;

• ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს დახმარებას ვუწევდით რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების პროექტების მომზადებაში, დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციაში;

• წინადადებებსა და კონცეფციებს შევიმუშავებდით სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

• „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციისათვის შესაბამისი სამუშაოებს ვახორციელებდით;

• საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და მუნიციპალიტეტის მერის დავალებით სხვა უფლებამოსილებებს ვახორციელებდით;

• ვახდენდით სასკოლო მზაობის პროგრამით სწავლების ჯგუფებში ღია გაკვეთილებზე დასწრებას.(#1, #5);

• განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სოფელ ლამბალოს #1, #2 სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული დაწესებულებების, სოფელ დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქმიანობას, მათთვის სათანადო დახმარების გაწევის, ასევე სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით

(აღნიშნულ დაწესებულებებში სასწავლო – სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე);

- სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები (მათ შორის დუზაგრამის) მიწვეულები იყვნენ საბავშვო თეატრ „ჭინჭრაქას“ სპექტაკლზე „კომბლე“. ამავე კონცერტში მონაწილეობდნენ ვახტანგ ტატიშვილი და ნუგზარ კვაშალი.

- აქტიურად ვთანამშრომლობთ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან (უფროსი: მანანა ცუცქირიძე), ვეხმარებით საჯარო სკოლებს სხვადასხვა საკითხებში (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, მოსწავლეთა ექსკურსიების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ);

- სკოლის მოსწავლეებისათვის დაფინანსებით ვუზრუნველყოფთ საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში „ეტალონი“ მონაწილეობას და კონკურსში გამარჯვებული მოსწავლისათვის სტიპენდიის გადაცემას, ერთი წლის განმავლობაში (სტიპენდია გაიცემა ყოველთვე - 100ლ.).

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მიმართულებით

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენი სამსახურის მიერ დაფინანსდა ესპანეთის სამეფო კარის, უსინათლო ბავშვთა საერთაშორისო ფონდისა და ხელოვნების სააგენტოს „არტ პროდუსინგი“ მიერ ინიცირებული პროექტი „ჯენტლმენების ფანტაზია.“ (ტარიელ სუარი და ორი მონაწილე); ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ნატო გელაშვილის საღამო;

ჩვენი სამსახურის თანხებით დაფინანსდა: ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის „გარეჯელები“ ტრანსპორტირება საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების მე-4 ეროვნულ კონკურსზე; ანსამბლის „მირელა“ და პატარძელის ლიცეუმის ტრანსპორტირება ქ. თბილისში ფრანგული კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად; დაფინანსდა ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდის მიერ ორგანიზებული ღონისძიების მონაწილეების ტრანსპორტირება სოფ. უდაბნოში, რომელიც მიეძღვნა 26 მაისს.

19 მაისი - ღამე მუზეუმში“ ჩატარდა საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის სახლმუზეუმსა და გიორგი ლეონიძის სახელობის სახლმუზეუმში.

19 მაისი- გაიმართა გარეჯობა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - 17.04.2018 წლის N02/15 ბრძანების საფუძველზე გიორგი ლეონიძის სახელობის სახლმუზეუმს მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი.

მიმდინარე წლის 10 ივნისს სოფ. ხაშმის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა „რეზობა.“ ღონისძიებას ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე რევაზ ინანიშვილის ოჯახის წევრები და მოწვეული სტუმრები, ასევე ივნისში გიორგი ლეონიძის სახლმუზეუმში, ტრადიციულად გაიმართა გოგლაობა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ა(ა)იპ კავშირმა „პოეზიის მეგობართა კლუბი,“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განახორციელა საგანმანათლებლო-ლიტერატურული პროექტი „ცოცხალი წიგნები.“ პროექტის ხელმძღვანელია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი, ქეთევან დუმბაძე.

პროექტის ფარგლებში, 18 ოქტომბერს, გიორგი ლეონიძის სახლმუზეუმში მოეწყო შეხვედრა თანამედროვე მწერლებთან: შაკო ბაკურაძე, ნუკრი წერეთელი, ანი კოპალიანი, გივი ჩიღვინაძე, ვასო გულეური, ბექა ახალაია. მათ თან ახლდათ პროექტის კოორდინატორი ლელა ცუცქირიძე.

„საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციასთან თანამშრომლობით მზადდება მომდევნო ტომი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ. წიგნის მთავარი რედაქტორია თამაზ დვალი. მასთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ახალი ძეგლები.

მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „მემკვიდრეობა.“ დაწყებულია სოფელში მცხოვრები იმ ადამიანების ჩაწერა, რომლების შემოქმედებაც, მოგონებებიც, ოჯახში შემონახული ძველი სურათები და ნივთები ფასეულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით. პროექტის განხორციელებაში ხელს გვიშლის გადასაღები კამერა არქონა (არსებულს ტექნიკური ხარვეზი აქვს).

დავით გარეჯი 2018 წლის „ევროპა ნოსტრას“ საფრთხეში მყოფი ძეგლების ფინალურ ნუსხაში მოხვდა.

განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამის ფინალისტები კულტურული მემკვიდრეობის წამყვანმა ევროპულმა ორგანიზაციამ „ევროპა

ნოსტრა“ და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტმა დაასახელა. პროგრამა მიზნას ისახავს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ძალთა მობილიზაციას განსაკუთრებული მიშვნელობის ძეგლებზე სარეაბილიტაციო ქმედებების დასაჩქარებლად.

7-8 ნოემბერს, ამ პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტს სტუმრობს ექსპერტების ჯგუფი, მათი მიზანია შეიწავლოს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში არსებული პრობლემები, ასევე შეისწავლოს ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი.

სპორტული კუთხით

1. რაგბისტების დაფინანსება გერმანიაში - 1092 ლ.
2. ნინოების დღესასწაულისათვის ცხვრის შეძენა - 375ლ.
3. ფორმების შეძენა სასკოლო ოლიმპიადის რეგიონალური ტურებისათვის - 1104ლ.
4. ქართული ჭიდაობის ფედერაციაში ანგარიშზე ჩარიცხვა - 4000ლ.
5. ყველიერის დღესასწაულისათვის ცხვრის შეძენა - 375ლ.
- #6. დედოფლისწყაროში ტრანსპორტირება სასკოლო ოლიმპიადა - 220 ლ.

- #7. ტრანსპორტირება თელავში სასკოლო ოლიმპიადა - 220ლ.
- #8. ტრანსპორტირება ლაგოდეხში, ქართული ჭიდაობა - 240ლ.
- #9. ტრანსპორტირება თბილისში ორი დღე, კიკბოქსი - 200ლ.
10. მედლების და თასების შეძენა კიკბოქსის ტურნირისათვის - 810ლ.

- #11. ტრანსპორტირება, მოჭიდავეების გაგზავნა წყალტუბოში - 580ლ.

- #12. ტრანსპორტირება, სასკოლო ოლიმპიადა ყვარელში - 200ლ.
- #13. ტრანსპორტირება, თბილისში 2008-2009 წლებში დაბადებული ფეხბურთელები - 120ლ.
14. თინათინ რევაზიშვილის გაგზავნა ჩეხეთში ევროპის ჩემპიონატზე სამბოში - 2 925ლ.
15. რაგბის კლუბისთვის სპორტული ინვენტარის შეძენა - 1999.50 ლ.
- #16. ტრანსპორტირება ყვარელში სასკოლო ოლიმპიადა - 200ლ.
17. ასაკობრივი საფეხბურთო გუნდების საწევრო შესატანი და მსაჯთა მომსახურება - 1142 ლ.
18. მკლავჭიდის დაფინანსება - 1352 ლ.
- #19. ტრანსპორტირება ლამბალოში - 90ლ.
- #20. ტრანსპორტირება თბილისში, კალათბურთი - 120ლ.
- #21. ტრანსპორტირება თბილისში, ზონალური ტური მინი ფეხბურთში - 120ლ.
- #22. ტრანსპორტირება გორში, ფეხბურთელები 2008 – 2009 წლებში დაბადებულები - 300ლ.
23. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ბავშვების საჩუქრების დაფინანსება - 130ლ.
- #24. ტრანსპორტირება თელავში რეგიონულ ტურზე 30-31 მაისი კალათბურთი, ჭადრაკი - 440ლ.
25. რამაზ ასაბაშვილის დაფინანსება უნგრეთში - 1400 ლ.
- #26. კალათბურთის ტრანსპორტირება თელავში 2 – 3 ივნისი - 440 ლ.
- #27. ტრანსპორტირება ხაშურში ფეხბურთი - 350ლ.
- #28. ტრანსპორტირება თელავში კალათბურთი - 220ლ.
29. საფეხბურთო ფორმის შეძენა მერიის გუნდისთვის - 275 ლარი.
30. საფეხბურთო გეტრების შეძენა სამოყვარულო ფეხბურთის გუნდისთვის - 80 ლარი.

- 31.სარეკლამო ბანერის დამზადება და ფორმებზე ნიმრების დაბეჭდა - 225 ლარი.
- #32. ტრანსპორტირება ახმეტაში, სამოყვარულო ფეხბურთი - 240 ლარი.
- #32. ტრანსპორტირება ველისციხეში, სამოყვარულო ფეხბურთი - 150ლარი.
- #33. ტრანსპორტირება ნაფარეულში, სამოყვარულო ფეხბურთი - 250ლარი.
- #34. ტრანსპორტირება ხელვაჩაურში, გოგონა ძიუდოსისტები - 860ლარი.
35. გოგონა ძიუდოსისტების სასტუმროს დაფინანსება ხელვაჩაურის ტურნირზე - 522ლარი.
- #36. ძიუდოსისტების ტრანსპორტირება ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე - 480ლარი.
37. თასების შეძენა მინი ფეხბურთის ტურნირისთვის - 230ლარი.
38. ფულადი ჯილდო მინი ფეხბურთში გამარჯვებული გუნდებისთვის - 1000ლ.
- #39. ტრანსპორტირება გურჯაანში, სამოყვარულო ფეხბურთი - 140 ლარი.
- #40. ტრანსპორტირება თელავში, სამოყვარულო ფეხბურთი - 220 ლარი.
- #41. ტრანსპორტირება ლაგოდეხში, სამოყვარულო ფეხბურთი, ორი სატრანსპორტო საშუალება- 480 ლარი.
- #42. ტრანსპორტირება თელავში, მხიარული სტარტების ნახევარ - ფინალი, ორი სატრანსპორტო საშუალება - 440 ლარი.
- #43. ტრანსპორტირება თელავში, მხიარული სტარტების ფინალი, ორი სატრანსპორტო საშუალება - 440 ლარი.
- #44. ტრანსპორტირება დედოფლისწყაროში, სამოყვარულო ფეხბურთი - 220 ლარი.
- #45. ტრანსპორტირება ველისციხეში, სამოყვარულო ფეხბურთი - 160 ლარი.
- სპორტსმენების ტრანსპორტირებისათვის დახარჯულია : 8080 ლარი, წლის ბოლომდე დარჩენილია : 420 ლარი.
- სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის დახარჯულია : 27 116 ლარი. წლის ბოლომდე დარჩენილია : 2463 ლარი.

ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით

10.01.2018-ში მუნიციპალიტეტის მერიის შენობის სრულყოფილად დაცვის მიზნით დამონტაჟდა ახალი ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩამწერი და 4 ცალი ახალი კამერა მერიის შენობის გარე პერიმეტრზე,

21.02.2018-ში მერიისა და საკრებულოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ტენდერით შეძენილი იქნა ახალი კარტრიჯების წლიური მარაგი პრინტერებისათვის.

03.04.2018-ში დაემატა მაღალი სიჩქარის გამტარობის ქსელის მარშრუტიზატორი.

22.06.2018-ში სტიქიური შემთხვევის (მეხის დაცემის) გამო დაზიანდა და შეკეთდა 2 ცალი ქსელის გამანაწილებელი 24 პორტიანი და 10 ცალი ქსელის ბარათი შეიცვალა კომპიუტერების სისტემურ ბლოკებში.

25.07.2018 – 06.08.2018 პერიოდში ინტერნეტ მომსახურების ხარჯების შემცირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის ყველა კომპიუტერში ჩაიწერა ახალი ოპერაციული სისტემა და მოხდა მათი დომენში გაწევრიანება, ყველა კომპიუტერთან მიყვანილი იქნა ქსელის კაბელი და გაუქმდა არსებული უკაბელო ქსელი (წიფი) ოპტიმიზაციის შედეგად ინტერნეტ მომსახურების ხარჯი განახევრდა.

მერიის შენობის მეოთხე სართულზე მოხდა ახალი კომპიუტერული ქსელის გაყვანა, დაემატა მაღალი გამტარობის ქსელის გამანაწილებელი, ინტერნეტის სიჩქარის შეუფერხებელი მიწოდების მიზნით.

წლის განმავლობაში შეძენილ იქნა 18 ლენოვოს ფირმის ნოუტბუქი და 5 აცერ ის ფირმის პერსონალური კომპიუტერი – შესაბამისად ჩაიწერა ოპერაციული სისტემები და საოფისე პროგრამები. შედეგად თანამშრომელთა უმრავლესობა უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერით.

05.06.2018-ში შეძენილი და დამონტაჟებული იქნა 6 ერთეული სამსუნგ–ის ფირმის ქსელური პრინტერი.

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის შეუფერხებელი მუშაობის მიზნით შეკეთდა მუნიციპალიტეტის კუთვნილი 6 ნოუტბუქი და 9 კომპიუტერის სისტემური ბლოკი.

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, წლის განმავლობაში სამჯერ გამოცხადდა კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდზე hr.gov.ge – ზე მუნიციპალიტეტის მერიის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, თანამდებობების მიხედვით დადგინდა შესაბამისი კომპეტენციები (13.02.2018 01.03.2018 25.05.2018). შედეგად ვაკანტური თანამდებობების შევსება მოხდა კვალიფიციური კადრებით.

საჯარო სამსახურის ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ehrms.ge-ში შეყვანილი იქნა მუნიციპალიტეტის მერიის განახლებული სტრუქტურა, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 5 თებერვალს. აღნიშნული სტრუქტურიდან გამომდინარე სისტემაში შეტანილი იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. აღნიშნულ საიტზე მუშაობა ყოველდღიურად მიმდინარეობს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, წლის განმავლობაში სამუშაოების ინტესივობიდან გამომდინარე, ფიქსირდებოდა და შუქდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა პროექტები სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე.

ყოველდღიურად ხდებოდა მედია მონიტორინგი.

ყოველდღიურად ხდებოდა ურთიერთობა მედიასთან. საჭიროების შემთხვევაში მზადდებოდა სტატია მედიისთვის.

ყოველდღიურად წარმოებდა სოციალური ქსელების მონიტორინგი. განუწყვეტლივ მიმდინარეობდა Facebook გვერდის ადმინისტრირება. მზადდებოდა პასუხები გვერდის მომხმარებელთა კითხვებზე. მიმდინარე წლის განმავლობაში სოციალური ქსელის გამოყენებით 86 მოქალაქეს გაეცა კომპეტენტური პასუხი.

სიახლეებიდან გამომდინარე ვანახლებ მუნიციპალიტეტის ვებ გვერდს sagarejo.gov.ge

ყოველდღიურად ხდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა და მზადდებოდა პასუხები მათთვის სასურველ კითხვებზე.

საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება უკეთდებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის,

მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის მიმართულებით

მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება შეიქმნა 2018 წლის აპრილში.

1. განყოფილება უზრუნველყოფს მერის წარმომადგენელთა ყოველკვირეული თათბირების მომზადებას, თათბირზე წამოჭრილი პრობლემების უკეთ მოსაგვარებლად იწარმოება თათბირის ოქმები.

2. განყოფილება უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების და პროექტების მოგვარებას მერიის სხვა სამსახურებთან შეთანხმებით.

3. რიგ ადმინისტრაციულ ერთეულებში კომპიუტერული ტექნიკის არარსებობის გამო, განყოფილება უზრუნველყოფს მერიაში შემოსული განცხადებების მერის წარმომადგენლებამდე დროულ გაცნობასა და განცხადებაში არსებული პრობლემის მოგვარებას.

მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების მიმართულებით

2018 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სულ 12936 კორესპონდენცია. აქედან 5000 მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, უმწეოთა თავშესაფარს, მშენებლობა- ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 3951 წერილი, რაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია დარეგისტრირებას, მიწის ფართის იდენტიფიკაციის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხება. დაკმაყოფილებულია 2107.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიიდან მ/წელს გასულია 5026 დოკუმენტი.

განყოფილების მიერ სისტემატურად ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის

სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. მზადდება ტაბელების და შვებულების გრაფიკი, ასევე სამივლინებო მოწმობები.სულ გაცემულია 382 სამივლინებო მოწმობა.

საკრებულოსა და მერიის სხვადასხვა სამსახურის საარქივო დოკუმენტების მიღება-დამუშავება-შენახვას უზრუნველყოფენ არქივის თანამშრომლები. ამჟამად მიმდინარეობს ქონების მართვის განყოფილებიდან ჩაბარებული უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმებისა და ზედამხედველობის განყოფილების მიერ ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების მასალების დამუშავება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსოს-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ

2018 წლის 10 თვე (ბუღალტერია)

2018 წლის 10 თვეში სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებაში შემოსულია 4526 წერილი, რაზედაც მომხდარია რეაგირება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში 10 თვეში 7-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 4768530 ლარით და შეადგინა 15083030 ლარი. გადასახდელები გაიზარდა 6273515 ლარით და შეადგინა 16588015 ლარი. საქართველოს მთავრობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 %-ის ფარგლებში თანადაფინანსების გათვალისწინებით 2018 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო სულ 1108966 ლარი, შემდეგი პროექტებისთვის:

1) სოფ. პატარძელში „ჩიხლანთ უბნის“ გზის მოასფალტების სამუშაოები - 427481 ლარი, დაფინანსებულია 398079 ლარით, მ.შ. 20951ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

2) მანავში გადასასვლელი ხიდის მოწყობა - 174743 ლარი, დაფინანსდა 86199 ლარით, მ.შ. 4536 ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

3) ქ.საგარეჯოში სტადიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპისთვის-506,742 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის N250 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 130000 ლარით გაიზარდა კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები, შეკეთდა 30 კერძო საცხოვრებელი სახლი და ერთი მრავალბინიანი კორპუსის სახურავი მდებარე საგარეჯოში აღმაშენებლის ქ.№32-ში. თანადაფინანსება მოხდა სარეზერვო ფონდიდან.

მთავრობის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მ.წ. 18 იანვარს N405 განკარგულებით და დაემატა 1737046 ლარი: მ.შ.

1) ქ.საგარეჯოში ცენტრალურ ქუჩებთან დამაკავშირებელი შიდა საუბნო გზების მოასფალტების (მარჯანიშვილის ქუჩა, მამისაშვილის პირველი და მესამე შესახვევის ქუჩები, ჩოლოყაშვილის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, ლესელიძის ქუჩა) სამუშაოებისთვის 395 200 ლარი, დაფინანსებულია 391933 ლარი, 20625 ლარი ადგილობრივი ბიუჯედიდან;

2) ვერხვიანი -ყანდაურის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოებისთვის 331 835 ლარი, დაფინანსებულია 330561 ლარი, 17396 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

3) სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოებისთვის 1010011 ლარი, დაფინანსებულია 739805 ლარი, 38936 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის #955 განკარგულებით „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 300 181 ლარი : მ.შ.

1) სოფელ გომბორში გარე განათების მოწყობისთვის 83 330 ლარი;

2) სოფელ კოჭბანში გარე განათების მოწყობისთვის 38 174 ლარი;

3) სოფელ კოჭბანში საბავშვო ბაღის მოწყობისთვის 178 677 ლარი.

პროექტების თანადაფინანსების გათვალისწინება მოხდა დამტკიცებულ ბიუჯეტში.

მ.წ. 11 ივლისს N1397 განკარგულებით მთავრობის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და შემცირდა:

1) სოფ. პატარძელში „ჩიხლაანთ უბნის“ გზის მოასფალტების სამუშაოები - 14 987 ლარით.

2) მანავში გადასასვლელი ხიდის მოწყობის სამუშაოები - 3 781 ლარით.

3) სოფ. კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები - 12 511 ლარით.

კვლავ, მთავრობის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მ.წ. 17 აგვისტოს N1621 განკარგულებით და დამატებით გამოიყო 573 616 ლარი შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

1) საგარეჯოს N5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 332 479 ლარი;

2) საგარეჯოში გურამიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოებისთვის 241 137 ლარი. პროექტების თანადაფინანსება გათვალისწინდა დამტკიცებულ ბიუჯეტში

სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 901 288 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 603 697 ლარი, სულ 1 504 985 ლარი.

ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 1590 063 ლარს.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს, 10 თვის განმავლობაში ხარჯმა შეადგინა 10 440 771 ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 1397660 ლარი, საქონელი და მომსახურება 1635802 ლარი, პროცენტები 35031 ლარი, სუბსიდიები 3088994 ლარი, გრანტები 13916, სოციალური უზრუნველყოფა 354895 ლარი, სხვა ხარჯები 386893 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 3527580 ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის 10 თვეში შემოსულია 9 750444 ლარი. მ.შ:საშემოსავლო გადასახადი 449143 ლარი,(გადასახადი ფიზიკური პირის მიერ იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლები 98649 ლარი, გადასახადი ფიზიკურ პირთა მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლები 350,494 ლარი), ქონებაზე გადასახადი 1116,654 ლარი, გრანტები 7074924 ლარი(გათანაბრებითი ტრანსფერი 4820000 ლარი,მიზნობრივი ტრანსფერი 175000 ლარი,კაპიტალური ტრანსფერი 2079924 ლარი: მ.შ: სპეციალური ტრანსფერი 130000 ლარი, კაპიტალური ტრანსფერი 1949924 ლარი). სხვა შემოსავლები 1109722 ლარი (შემოსავლები საკუთრებიდან 575465 ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 64144 ლარი, ჯარიმები და საურავები 468768 ლარი,შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1343.ლარი). შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან 1061661 ლარი.

საფინანსო სამსახურში შემოსულ წერილებზე მომხდარია რეაგირება და დაფინანსებულია ინფრასტრუქტურის ხაზით შესრულებული სამუშაოები. მ.შ:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებმა შეადგინა 1330911 ლარი.

2) წყლის სისტემების რეაბილიტაციის,ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ღონისძიებებს მოხმარდა 1 280 064 ლარი.

4) გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 445489 ლარით.

5) გარემოს დაცვითი ღონისძიებები დაფინანსდა 732451 ლარით.

11) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები დაფინანსდა 963983 ლარით

12)განათლება დაფინანსდა1652647ლარით.

13)კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 1200535 ლარით

14) სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 700874 ლარით.

15)კულტურის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 457955 ლარით.

16) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 20166 ლარით.

17)საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსდა 21540 ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის 10 თვის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილი 199623 ლარიდან გაიხარჯა 94756 ლარი, მათ შორის: კაკაბეთში მცხ. თამაზ მირიანაშვილის ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოებისთვის 12000 ლარიდან გაიხარჯა 11411 ლარი, რუსთაველის ქუჩა№181-ში მცხოვრები ზურაბ ცხვარიაშვილის ეზოს და საგარეჯოს №3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს ქარიშხლისგან დაზიანებული ხეებისგან გასასუფთავებლად სპეცტექნიკის დაქირავებისთვის 1000 ლარი გაიხარჯა სრულად; 2018 წელს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის(ძლიერი ქარი) შედეგად მიყენებული ზიანის განსახორციელებელი სალიკვიდაციო ღონისძიებების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი 35503 ლარი გაიხარჯა სრულად; 2018 წლის 10 მარტს ქ. საგარეჯოში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად, დავით აღმაშენებლის ქ.№32-ში მდებარე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლების და სათავის ქ.№47-ში მცხოვრები ალექსანდრე ყურაშვილის საცხ. სახლის დაზიანებული სახურავების

სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთვის გამოყოფილი 71980 ლარიდან გაიხარჯა 45412 ლარი; 2018 წლის 9-10 იანვარს, ძლიერი ქარიშხლის შედეგად დაზიანებული ოჯახებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შეძენილი ტენტების ე.წ. "პალატკების" შესყიდვისთვის გამოყოფილი 1430 ლარი გაიხარჯა სრულად. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების: ნიკოლოზ კავთუაშვილის, დავით გილაშვილის, ზვიად თედიაშვილის, ლალი გულბანის, ლიანა ბუზარიაშვილის, ნუნუ თედიაშვილის, ეთერი გრატიაშვილის, ზაირა გრიგალაშვილის, ნანა ჩუბინიძის, მევლუდ გიქორაშვილის, ლამარა ახვერდაშვილის და ლია კაკუტაშვილის სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად გამოიყო 77 710 ლარი, სამუშაოები დაწყებულია და ჯერ არ დაფინანსებულა.

საკუთრების უფლების აღიარების კომისიაზე შემოსულია 1621 განცხადება. აქედან 530 განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა, 170 საკითხი უარყოფითად გადაწყდა, წარმოებაში 893 განცხადებაა დარჩენილი. მიმდინარე სასამართლო წარმოებაშია 15 პროცესი.